## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19$^{45}$

◆ **ბეირუთი,** 29 ივნისი. დასავლეთ აზიის შესარჩევ ზონაში ოლიმპიური ტურნირის პირველ საკლასიფიკაციო მატჩში ლიბანის ფეხბურთელთა ნაკრებმა მოუგო ერაყის ეროვნულ გუნდს — 1:0. ამ ზონაში გამოდიან, აგრეთვე, კუვეიტის, სირიისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები.

◆ **სოფია,** 29 ივნისი. მიუხედავად დამარცხებისა დასკვნით მატჩში თავიანთ მთავარ კონკურენტთან, ლევსკის „სპარტაკთან" — 0:1, ცსკა-ს ფეხბურთელები მეთხუთმეტედ გახდნენ ბულგარეთის ჩემპიონები (60 შესაძლებლიდან 48 ქულა). ამდენივე ქულა აქვს ლევსკის „სპარტაკს", მაგრამ იგი ბურთების უარესი სხვაობით II ადგილზე გავიდა.

◆ **პიარნუ,** 29 ივნისი. აქ გაიმართა ქალაქის საჭადრაკო კლუბის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი. უკანასკნელ ტურამდე I ადგილის პრეტენდენტები იყვნენ დიდოსტატები მ. ტალი და ლ. შტეინი. უკანასკნელ ტურში მ. ტალმა წააგო ესტონელ ოსტატ პ. კიარნერთან და გამარჯვება წილად ლ. შტეინს ხვდა — 10 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ტალი და დიდოსტატი პ. კერესი, დ. ბრონშტეინს აქვს 8,5 ქულა, კიარნერს — 8, რ. ეტრუკს—7,5.



## შავი ზღვის პირას...

ბათუმში გაიხსნა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ნორჩ მოცურავეთა სპორტული ბანაკი 80 ბავშვისთვის. აქ თავი მოიყარეს თბილისის, ქუთაისისა და ჭიათურის ნორჩმა სპორტსმენებმა, რომლებიც 52 დღის მანძილზე დაისვენებენ, ივარჯიშებენ და შინ გაკაჟებულნი დაბრუნდებიან.

ბანაკში დილა საერთო ფიზმომზადებაში ვარჯიშსა და ზღვაში ბანაობას ეთმობა, საღამო კი აუზში სპეციალურ მომზადებაში წვრთნას.

ნორჩებს წვრთნისა და დასვენების ყველა პირობა აქვთ. დღის რეჟიმი შედგენილია ისე, რომ არ მოსწყინდეთ. ეწყობა ექსკურსიები, ნავებით სეირნობა, მხატვრული კითხვა.

ბავშვები კმაყოფილი არიან. როგორც „მხიარული დელფინის" ტურნირში გამარჯვებულმა თბილისელმა გ. ნიკოლაიშვილმა თქვა, ბანაკში გატარებული დღეები მის თანატოლებს ხელს შეუწყობს შედეგების ზრდაში.

ნორჩ მოცურავეთა წვრთნასა და დასვენებას ხელმძღვანელობენ გამოცდილი მწვრთნელები გ. კარბუკოვი, რ. ირვანდიანი (ბანაკის უფროსი), გ. კალანდაძე, ნ. კობელევა და სხვები.

**ვ. ბუკინი,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ბათუმი.

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ— გ. კარბუკოვი აუზში მორიგ მეცადინეობასატარებს; მარჯვნივ — გ. ნიკოლაიშვილი ბაფთით ვარჯიშის დროს.

ავტორის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 129 (4379)

1971 წ. 30 ივნისი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მიზანი—საგაისო სპარტაკიადა

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა შეჯიბრება თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე მიმდინარეობს. ტურნირში გუნდებს ჩათვლას აძლევენ 1954-55 წლებში დაბადებული სპორტსმენები. ამ ასაკის ჭაბუკებმა და გოგონებმა გაისად სსრ კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაში უნდა იასპარეზონ, მაგრამ ახლა ბრძოლაში მათზე უმცროსებიც ჩაებნენ და ბევრმა გაცილებით უკეთესი შედეგებიც მოიპოვა.

საინტერესო იყო სიმაღლეზე მხტომელ გოგონათა შეჯიბრება. აქ სწორედ პირადი ტურნირის მონაწილეებმა, თბილისის 57-ე სკოლის მერვეკლასელმა მ. კიკნაველიძემ და 23-ე სკოლის მეცხრეკლასელმა ნ. ვლადიმერაშვილმა იმარჯვეს. აფხაზეთის გუნდის წევრი ნ. კობელევა 140 სმ-ზე გადახტა და III ადგილი ხვდა. მწვრთნელ გ. მიროტაძის აღსაზრდელები ვლადიმერაშვილი და კიკნაველიძე კი პირველობისთვის კიდევ დიდხანს იბრძოდნენ. საბოლოოდ ორივემ 160 სმ დაძლია. მათ I თანრიგის ნორმატივი შეასრულეს. I ადგილი ვლადიმერაშვილს დარჩა.

1500 მეტრზე რბენაში აფხაზეთის გუნდის წევრმა ზ. ბიკადირმა (მწვრთნელი მ. კარაკეიანი) 4.16,0 აჩვენა და ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. ვ. მელაშვილს (თბილისის I გუნდი) მან 4 წამი მოუგო. III ადგილი წილად ხვდა მ. ხაჩატურიანს (ახალციხე) — 4.23,4.

დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიპოვეს, აგრეთვე 100 და 800 მეტრზე მორბენალმა გოგონებმა, 100 და 800 მეტრზე მორბენალმა, სიმაღლეზე და ჭოკით მხტომელმა ჭაბუკებმა.

სპორტსმენთა მომზადების საერთო დონე დამაკმაყოფილებელია. გამონაკლისი იყო მხოლოდ 100 მეტრზე თარჯრბენი და 5 კმ-ზე სპორტული სიარული. ამ სახეობათა სტარტზე სამ-სამი სპორტსმენი გამოვიდა, ფინიშთან კი ორ-ორი მივიდა. 100 მ თარჯრბენში ქუთაისელმა მ. მაღლაფერიძემ და რ. იუსუპბამ (აფხაზეთი) ერთნაირი შედეგები (18,6 წამი) აჩვენეს, მაგრამ გუნდს ვერცერთმა ვერაფერი არგო. სპორტულ სიარულში უძლიერესმა დ. შაბურიშვილმა (თბილისი I — 26.45,0) გ. ჭეიშვილს (ქუთაისი) 2.41,8 მოუგო.

**ტექნიკური შედეგები: გოგონები. რბენა. 100 მ.** თ. ლოლაძე (თბილისი I) 12,6, ნ. ზავრაშვილი (რუსთავი) — 12,6, დ. აბზიანიძე (ქუთაისი) — 12,7, **800 მ.** ლ. მაკაროვა (ქუთაისი) — 2.21,1, ნ. სუდაკოვსკაია (თბილისი I) — 2.22,4, ტ. მატიუშინა (თბილისი II, პირადი) — 2.24,8. **ბირთვის კვრა.** ლ. კოვალიოვა — 11,36, ლ. სივაკონი (თბილისი II, პირადი) — 11 მ, ო. ვართანავაძე (აფხაზეთი) — 10,84.

**ჭაბუკები. რბენა. 100 მ.** ვ. კოზელსკი (ქუთაისი) — 11,3, ბ. მექვაბიშვილი (მახარაძე) — 11,4, გ. ნანუაშვილი (თბილისი I) —11,5. **800 მ.** ი. ბიხანოვი (თბილისი I) — 1.59,5, ვ. პოგოჟევი (აფხაზეთი) — 2.01,6, ვ. ვოკკი (ქუთაისი) — 2.02,8. **2000 მ წინაღობებით.** ვ. სეხპოსოვი (თბილისი I) — 6.39,5, გ. როჟკოვი (თბილისი, პირადი) — 6.52,8, ა. კარპენკო (გორი) — 6.55,8. **ბადროს ტყორცნა.** ნ. ქესაშვილი (ხაშური) — 36,64, ნ. ქებაძე (სამხრეთ ოსეთი) — 36,52, ს. ძუძუკი (თბილისი I) — 36,30. **სიმაღლეზე ხტომა.** ა. კუზინი (ფოთი) — 185, ა. შჩერბინა (თბილისი, პირადი) — 175, ვ. მარგიევი (სამხრეთ ოსეთი) — 170. **ჭოკით ხტომა.** ა. მარავსკი — 370, გ. კალანიდი (თბილისი) — 370, ე. სოხაძე (თბილისი, პირადი) — 340.

## კარგი ღონისძიება

საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა თელავის რაიონის ფიზკულტურის მუშაკთა პირადი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, ღერძზე მიზიდვა, საწონების აწევა, კალათში საჯარიმო ტყორცნები, მაგიდის ჩოგბურთი, შაში, ჭადრაკი და ტყვიის სროლა.

ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ: მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში — ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ვ. სახიევი, შაშსა და საჯარიმო ტყორცნებში — „დინამოს" პასუხისმგებელი მდივანი რ. გაბაშვილი, საწონების აწევაში — წინანდლის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი შ. აჩუაშვილი, ღერძზე მიზიდვაში — ტანვარჯიშის მწვრთნელი თ. იაშვილი, სიგრძეზე ხტომაში — თელავის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. მაყაშვილი.

საერთო I ადგილი მოიპოვა სახიევმა, II — გაბაშვილმა, III — აჩუაშვილმა.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ეს კარგი ღონისძიება ტრადიციად აქციოს და ყოველწლიურად ჩაატაროს.

**რ. საამოვი.**
**(ჩვენი კორ.).**

თელავი.

## ახალი ამბები-71

● **სლანი,** 28 ივნისი. აქ გამართულ სპიდვეისტთა მსოფლიო პირველობის ევროპულ ფინალში წარმატებით აიღეს სტარტი საბჭოთა სპორტსმენებმა. უფელმა გ. კურილენკომ დაიკავა III ადგილი. ქალაქ როვნოს წარმომადგენლები გ. ხლინოვსკი და ვ. ტროფიმოვი V-VI ადგილებს იყოფენ. თბილისელი ვ. გორდეევი ჯერჯერობით მერვეა. აქ I ადგილზეა პოლონელი გ. გლიკლიხი.

● **სტამბოლი,** 28 ივნისი. 5 საბჭოთა ათლეტი გამოდიოდა აქ გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში. I ადგილები დაიკავეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): არაპუმ (რუმინეთი), ალანმა (თურქეთი), მალაანმა (ერევანი), მარკელოვმა (ყაზანი), სევიჩმა, უზუნმა (ორივე — თურქეთი), ილიევმა (ბულგარეთი), გიურსოიმ (თურქეთი), გულიუტკინმა (კიევი) და ვასილიევმა (ბულგარეთი). საბჭოთა ფალავნებიდან მეორე ადგილებზე იყვნენ კიტოვი (მინსკი) და ივანოვი (ალმა-ათა).

● **პარიზი,** 28 ივნისი. „პოლ მერიკამპის მემორიალში" ჟან-კლოდ ნალემ 400 მეტრი თარჯებით 49,4 წამში გაირბინა. ეს საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპაში. 5000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ჟ. ვადუმ — 13.34,0.

● **იუჯინი,** 28 ივნისი. აშშ-ს სამოყვარულო ათლეტური კავშირის მძლეოსანთა პირველობაში 20 წლის ზანგმა სპორტსმენმა ჯ. სმითმა 440 იარდზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 44,5. ბირთვის მკვრელ ყაჩთა შორის მსოფლიო რეკორდსმენი რ. მეთსონი მეორე იყო (20,14). აქ იმარჯვა კ. ზალბამ — 20,49. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში აშშ-ს ახალი რეკორდი დაამყარა ს. სინკმა — 8 26,4. 440 მეტრი თარჯებით ყველაზე სწრაფად გაირბინა რ. მანმა — 49,5.

● **მოსკოვი,** 28 ივნისი. გუშინ მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი, რომელიც 2-3 ივლისს ბერკლის საუნივერსიტეტო სტადიონზე ტრადიციულ მატჩში შეხვდება აშშ-ს ნაკრებს. ეს მატჩი 1958 წლიდან ტარდება. საერთო გუნდურ ჩათვლაში შვიდჯერ საბჭოთა მძლეოსნებმა გაიმარჯვეს, ორჯერ — ამერიკელებმა.

# კაკულიასგან მეტს მოელიან

თბილისში „დინამოს" კორტებზე გრძელდება საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაჟთა ერთეულების ფინალურ ჯგუფში გაიმართა III ტურის შეხვედრები. კიდევ თითო და ოილი გამარჯვება მოიპოვეს ტურნირის დაუმარცხებელმა ლიდერებმა ლ. მძინარიშვილმა და გ. ახალაძემ. პირველმა მოუგო გ. ლუკაშვილს (6:1, 6:3), მეორემ — გ. მუსაელიანს (6:1, 6:2). ლიდერებს 2-2 ქულით ფეხდაფეხ მიჰყვებიან თ. კაკულია და ვ. პერეგუდოვი. პირველმა III ტურში დაამარცხა ვ. გოგლიძე (3:6, 6:3, 6:0), მეორემ — ბ. სენჩუროვი (6:4, 6:1). ცალკე გვინდა შევჩერდეთ თ. კაკულიას თამაშზე. იგი რომ 8 ფინალისტს შორის კლასით ყველაზე მაღლა დგას, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ამ ტურნირში კაკულიას თამაშში სწორედ ეს უპირატესობა (ლამაზი, უშეღავათო თამაში, გამარჯვებისკენ სწრაფვა) არ იგრძნობა. იგი თითქოს რაღაც ზედმეტად თვითდაჯერებული იყო კორტზე და ალბათ ამიტომაც დამარცხდა ლ. მძინარიშვილთან. ამასვე უნდა მივაწეროთ კაკულიას უფერული მატჩი ვ. გოგლიძესთან. ამ უკანასკნელთან შეხვედრაში იგი მხოლოდ პირველი ხელის წაგების შემდეგ ამოქმედდა რამდენადმე უკეთ და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

ქალთა ერთეულების ფინალურ ჯგუფში IV ტურის მატჩები გაიმართა. ფინალის მონაწილე შვიდი ჩოგბურთელიდან ჯერჯერობით მხოლოდ ორი ირბძვის დაუმარცხებლად. ესენი არიან ა. ივანოვა (მას 4 შესაძლებლიდან 4 ქულა აქვს) და ნ. თუხარელი (3 შესაძლებლიდან—3 ქულა). ივანოვამ მორიგი გამარჯვება მოიპოვა ო. პაპაიანთან შეხვედრაში (6:3, 6:3), ხოლო თუხარელმა — ხ. კველიასთან მატჩში (6:0, 6:1). ტ. ფარსადანოვამ მოუგო ლ. მგალობლიშვილს (6:3, 6:1).

**ჯ. ენუქიძე.**

### ტექნიკური შედეგები

**ვაჟთა წყვილები. მეოთხედფინალი.** კაკულია, პერეგუდოვი — ხიტროვი, ჩხენკელი 6:3, 6:2, სენჩუროვი, მძინარიშვილი — ეგნატაშვილი, ოსიპოვი (მეორე წყვილი არ გამოცხადდა, მოგება ჩაეთვალა პირველ წყვილს), გ. და პ. აბაშკინები — მუსაელიანი, ლუკაშვილი 6:2, 4:6, 6:4, გოგლიძე, ახალაძე — გეგელაშვილი, შოგირაძე (მეორე წყვილი არ გამოცხადდა, მოგება ჩაეთვალა პირველ წყვილს).

**ქალთა წყვილები. მეოთხედფინალი.** ივანოვა, თუხარელი — პრესნიაკოვა, ტუმბულიდი (მეორე წყვილი არ გამოცხადდა, მოგება ჩაეთვალა პირველ წყვილს).

# მიზანი: მაღალი შედეგები სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში!

СПАРТАКИАДА V НАРОДОВ СССР

V სპარტაკიადა 1971

## ფიქრები სტარტის წინ

ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ფინალური ტურნირის სტარტს თვეზე ნაკლები დრო გვაშორებს, როცა ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები ყველგან დამთავრდა, ნაკრები გუნდები დაკომპლექტდა, მთავარი ყურადღება კი რესპუბლიკურ და საქალაქო სპარტაკიადებში გამოვლენილი ხარვეზების დაძლევას ეთმობა, ბოლო წლინახევრის შედეგების მიხედვით უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, მომავალ საკავშირო ასპარეზობაში რომელ მძლეოსნურ დელეგაციას რა წარმატების შანსი აქვს.

საამისოდ დასკვნების გაკეთება მოხერხდება, თუ შარშანდელი შედეგების მიხედვით სსრ კავშირის 25 საუკეთესო მძლეოსნის სიას, მოზრდილთა და მოზარდთა შარშანდელი ჩემპიონატებისა და წლეულს გამართული ტურნირების მაჩვენებლებს სასპარტაკიადო სისტემით გავაანალიზებთ. ეს ნიშნავს, რომ I ადგილისთვის სპორტსმენს 12 ქულა უნდა მივცეთ, II ადგილისთვის — 9, III — 7, IV — 5, V — 4, VI — 3, VII — 2, VIII — 1 (მოზარდებში 0,5 კოეფიციენტია), ამასთან, რეკორდებისთვისაც სასპარტაკიადო სკალა უნდა გამოვიყენოთ (სპარტაკიადაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგის ჩვენებისთვის სპორტსმენი დამატებით 5 ქულას მიიღებს, სსრ კავშირის რეკორდის დამყარებისთვის — 7, ევროპისა — 9, მსოფლიო რეკორდისთვის — 12 ქულას). ანალიზის საერთო საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები სიძლიერის მიხედვით სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

ამ დიდი კომპლექსური ღონისძიების მძლეოსანთა ტურნირში გუნდური გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი რსფსრ-ს სპორტსმენებს აქვთ. ისინი ვაჟთა შეჯიბრებაში თეორიულად 265,1 ქულას აგროვებენ, ქალთა ასპარეზობაში — 154,5 ქულას. მართალია, ქალთა შორის ლენინგრადელებს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ, მაგრამ მოზარდთა შორის აშკარა უპირატესობა ისევ რსფსრ-ს მხარეზეა, ისე, რომ ამ რესპუბლიკას მძლეოსანთა შეჯიბრებაში გუნდური გამარჯვება გარანტირებული აქვს.

II ადგილის პრეტენდენტები არიან მოსკოვისა და უკრაინის ათლეტები. მოსკოველები უკრაინელებთან ერთგვარ უპირატესობას ესტაფეტების ხარჯზე აღწევენ (ესტაფეტებში გუნდებს ორმაგი ქულები ეწერებათ), მაგრამ უკრაინელებს მოზარდთა უკეთესი მომზადების იმედი უნდა ჰქონდეთ და II ადგილიც კანონით მათ უნდა დაისაკუთრონ.

II ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და ყაზახეთის გუნდები. ამ სპორტულ ორგანიზაციებს მარტო ის კი არ აახლოებთ, რომ საკავშირო შეჯიბრებაში ადგილებს ერთმანეთის მეზობლად იკავებენ, არამედ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში მძლეოსნობის მდგომარეობის მსგავსებაც.

ყაზახეთში მძლეოსნობა ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება და, თუ სადღეისოდ ამ რესპუბლიკის გუნდი უფრო მაღალი ადგილებისთვის ვერ იბრძოლებს, ეს იმიტომ, რომ იქ მოზარდებთან მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩება.

ბელორუსიელებს 25 საუკეთესოს სიაში საერთო VI ადგილი უკავიათ. მოზრდილთა საკავშირო პირველობაში მათ VII ადგილი მოიპოვეს, მაგრამ სამაგიეროდ, მათი მოზარდთა გუნდი სსრ კავშირში ერთ-ერთი საუკეთესოა (შარშან — IV ადგილი). ამის წყალობით ბელორუსიის ნაკრები სპარტაკიადის წინ საერთო V ადგილზეა. ცხადია, ბელორუსიელები თავს არ დაზოგავენ, რომ ეს ადგილი სპარტაკიადაშიც შეინარჩუნონ.

დანარჩენი რესპუბლიკები III ჯგუფს მიეკუთვნებიან. მათი დამახასიათებელი ისაა, რომ ფონს გასვლას 1-3 ძლიერი მძლეოსნის ხარჯზე ფიქრობენ.

მაგალითად, 25 უძლიერესის სიაში საქართველოს რამდენიმე სპორტსმენს ვხვდებით. ვაჟებში ესაა 110 მეტრზე თარჯრბენში ი. დიაჩკოვი (XII ადგილი — 14,1. ეს შედეგი მან შარშან 15 სექტემბერს რიგაში გამართულ შეჯიბრებაში აჩვენა და საქართველოს რეკორდი დაამყარა). სიაში ა. მოშიაშვილს ამავე სახეობაში XIX ადგილი უკავია (14,3), 200 მეტრზე თარჯრბენში ი. კოზელსკი შარშან XX ადგილზე იყო (23,8), ხოლო 400 მეტრზე თარჯრბენში — X (51,5). 10 კმ-ზე სპორტულ სიარულში ა. შჩერბინას IV (43.17,0), ხოლო ი. დელა-როხას X (43.31,4) ადგილები უკავიათ. დელა-როხა 20 კმ-ზე სპორტულ სიარულში ბოლო ადგილზე გახლდათ — 1:31.26,2, 50 კმ-ზე სიარულში კი მას შარშან XVII მაჩვენებელი (4:20.20,0) ჰქონდა. ბირთვის კვრაში მ. ოყრომიძეს V (18,66), ბადროს ტყორცნაში გ. გუდაშვილს II (60,12), შუბის ტყორცნაში კ. გორძამაშვილს XVI (77,90), ხოლო ათჭიდში ი. დიაჩკოვს XVI (7484 ქულა) ადგილები ეკავათ.

ერთადერთი სოხუმელი ვ. სანეევია სამხტომში უძლიერესთა სიის სათავეში — 17,34 მ.

საუკეთესო მძლეოსან ქალთა სიაში საქართველო სამი სპორტსმენითაა წარმოდგენილი. 100 მეტრზე თარჯრბენში ლ. იევლევა V (13,6), ბადროს ტყორცნაში ლ. ტულუში XIV (54,30) და შუბის ტყორცნაში ც. ლიპარტელიანი XXIII (50,86) ადგილებზე იყვნენ. ასე რომ, თუ შარშანდელი შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, სპარტაკიადაში 8 საუკეთესოს შორის საქართველოს 5 სპორტსმენს შეუძლია მოხვედრა.

შარშან ჩვენი ჭაბუკები შეუფასებელი დარჩნენ (უძლიერესთა სიაში ვერავინ მოხვდა), გოგონებმა კი 4 ქულა დაიმსახურეს. სულ ჩვენი რესპუბლიკის ათლეტები ყველა თანრიგში 42 ქულას აგროვებდნენ და X ადგილზე არიან.

მაგრამ წლეულს საქართველოს ათლეტებმა მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორეს. მოშიაშვილმა 110 მეტრზე თარჯრბენში პირადი შედეგი 0,3 წამით გააუმჯობესა და საქართველოს რეკორდსმენი გახდა, გ. გუდაშვილმა ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა, ი. ფხაკაძე უროს ტყორცნაში იუნიორთა საკავშირო რეკორდს დაეუფლა. პირადი შედეგები გააუმჯობესეს ლ. იევლევამ, ლ. ტულუშმა, მ. ალიაკრინსკაიამ, ლ. გუკმა...

იევლევამ წლეულს ზამთრის შეჯიბრებაში 50 და 60 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირში საუკეთესო შედეგები (7,0 და 8,2 წამი) აჩვენა. 100 მეტრზე თარჯრბენში კი პირადი საუკეთესო შედეგი გაიმეორა ალიაკრინსკაიამ და გუკმა სიმაღლეზე ხტომაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს. ტულუშმა ბირთვის კვრაში საქართველოს რეკორდი დაამყარა...

სპარტაკიადის სარბიელზე სამხტომში სანეევის გამარჯვება ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ხოლო სიგრძეზე ხტომაში მასვე შეუძლია გუნდს ჩათვლა მისცეს. ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მძლეოსნებს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში უკეთესი მაჩვენებლები ექნებათ. ახლა მთავარია სპორტსმენებმა კარგად გამოიყენონ დიდ სტარტებამდე დარჩენილი დრო.

**ო. გელაშვილი.**

• • •

სურათზე: ლ. ტულუში ასპარეზობისას.

## მომავლის იმედით

საქართველოს V სპარტაკიადა უკვე ისტორიის კუთვნილებაა. შეჯიბრებები დამთავრდა და საუკეთესოთა შორის საუკეთესონი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის განაგრძობენ მზადებას. ახლა შეიძლება თვალი გადავავლოთ განვლილ ტურნირებს და აღვნუსხოთ, რა გაკეთდა წინა სპარტაკიადიდან წლევანდელ ასპარეზობამდე. საერთოდ რა დონეზეა დიდი სპორტი ჩვენს ქალაქში — რუსთავში.

პირველი და აუცილებელი პირობა სპორტის განვითარებისთვის კეთილმოწყობილი თანამედროვე სპორტული ბაზებია. მათი შექმნისთვის კი უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ჩვენთან თითქმის არაფერი გაკეთებულა.

საერთო შედეგები ახლაც იგივე იყო, რაც წინა სპარტაკიადაში — V ადგილი. ეს დღეისთვის კანონზომიერად მიგვაჩნია. რუსთავის ფიზკულტურული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არის მზად იმისთვის, რომ ყველა სახეობაში თანაბარი სიძლიერით ებრძოლოს ქუთაისის, აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლებს. აღარას ვამბობ თბილისზე, რომელიც უკონკურენციოდ იკავებს I ადგილს.

ჩვენი აზრით, წინა სპარტაკიადისგან განსხვავებით ქულათა ჩათვლის სისტემა გამართლებულიც იყო და არალოგიკურიც, ვინაიდან აქცენტი გადაიტანეს პირად შედეგებზე, რამაც გუნდური სახეობები, განსაკუთრებით სპორტული თამაშები, დაჩრდილა. მაგალითად, რუსთაველმა ველომრბოლელებმა წვიმასა და ქარში 100-კილომეტრიანი გუნდური რბოლა მოიგეს და სულ 14 ქულა მოიპოვეს, მაშინ, როცა ქუთაისელმა მშვილდოსნებმა თავიანთ კოლექტივს 195 ქულა შესძინეს. ან კიდევ ასეთი მაგალითი: რუსთაველმა ხელბურთელმა ვაჟებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ III საპრიზო ადგილი დაიკავეს, საერთო ჩათვლაში კი მხოლოდ 8 ქულა მიიღეს. ამდენივე ქულა მოგვცეს 5 და 10 კილომეტრზე რბენაში მესამე პრიზიორმა ვ. ნესტორენკომ, სპარტაკიადის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ძალოსნობაში ვ. ლობჟანიძემ. მაგალითების მოყვანა კიდევ და კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. აქვე მინდა ასეთი შეკითხვა დავსვა: რატომ გადმოგვაქვს შაბლონურად სხვის მიერ შემოთავაზებული შეჯიბრების ორგანიზაციული პრინციპები, განა ჩვენ უკეთ არ შეგვიძლია წარვმართოთ ჩვენივე საქმე? ან კიდევ, რა აუცილებელია სპარტაკიადის ფინალში ერთად გამოდიოდნენ ისეთი ორგანიზაციები, რომელთაგანაც ერთი ორიათას ქულას აგროვებს, მეორეს კი მხოლოდ ქულის მიღება შეუძლია?

რუსთაველები მთელ რიგ სახეობებში ტოლს არ უდებდნენ მრისხანე მეტოქეებს. კალათბურთელ ქალთა ტურნირში ჩვენმა გუნდმა II ადგილი მოიპოვა. საგზატკეცილო ველომრბოლელებმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 100-კილომეტრიანი გუნდური რბოლა მოიგეს. III ადგილები დაიკავეს ხელბურთელმა ვაჟებმა, ნიჩბოსნებმა (ბაიდარებითა და კანოეებით) და მოფარიკავეებმა. ჩვენმა სპორტსმენებმა ცალკეულ სახეობებშიც კარგ შედეგებს მიაღწიეს. მაგალითად, ჩემპიონობა დაისაკუთრა ძალოსანმა ვ. ლობჟანიძემ, საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მოფარიკავეები, ნიჩბოსნები, ძალოსნები, მძლეოსნები, მოკრივეები და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი იყო საერთო V ადგილის დასაკავებლად?

IV ადგილის მფლობელს — აფხაზეთის კოლექტივს ჩვენ თითქმის 600 ქულით ჩამოვრჩით. ასეთი რამ არ მოხდებოდა, რუსთავს ნორმალური სპორტული ბაზები რომ ჰქონდეს. ის ძირითადი სახეობები, რომლებიც სპარტაკიადებში ქულათა ძირითად დოვლათს ქმნიან—ცურვა, ტანვარჯიში და მძლეოსნობა — ჩვენთან არადამაკმაყოფილებლად არის განვითარებული. მთლიანად ჩაშლილია სრულწლიური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა ცურვაში (ბაზის უქონლობის გამო). ამიტომაა, რომ რუსთავში არ გვყავს სპორტსმენი, რომელიც ცურვის რომელიმე სახეობაში თუნდაც VI ადგილის დაკავებას შეძლებდა. ცხადია, ამ სახეობაში რუსთავმა ქულაც ვერ მიიღო, მაშინ, როდესაც თბილისის კოლექტივს ცურვამ 429 ქულა მოუტანა.

მწყობრიდანაა გამოსული სპორტკლუბ „ფოლადის“ ტანვარჯიშული იარაღები, ამას მწვრთნელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობაც ემატება და ჩვენც ტრადიციულად ვტკეპნით ერთსა და იმავე ადგილს ტანვარჯიშში. სპარტაკიადაში მხოლოდ 8 ქულა მივიღეთ. ამავე სახეობაში თბილისს 170 ქულა ჰქონდა, აჭარას — 91,5. იგივე ითქმის მძლეოსნობაზე. ძალზე ცუდ მდგომარეობაშია „მეტალურგის“ სტადიონის სარბენი ბილიკები და სექტორები. ასეთ პირობებში ძნელია მაღალი თანრიგის მძლეოსნების აღზრდა და, ცხადია, სხვა კოლექტივებმა ბევრად გაგვისწრეს.

ჩვენთან იშვიათად ჩამოდის უკვე მომზადებული სპორტსმენი. რუსთავის გუნდები მხოლოდ და მხოლოდ რუსთავის მკვიდრთაგან კომპლექტდება. სპარტაკიადაში მარტო ქულებს ხომ არ ვაგროვებთ ადგილების გასანაღდებლად? გვაქვს სხვა მიზანიც — რაც შეიძლება მეტი შევსება მივცეთ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს. მაგრამ როდესაც სერიოზულად აღნიშნავენ, რომ რუსთავიდან მხოლოდ 4 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაშიო, გული გწყდება. ციფრი მართლაც უმნიშვნელოა, მაგრამ არც იმდენად, როგორც ამბობენ. სპორტის ოსტატები ნიჩბოსნობაში ლ. ბესპალოვა, რ. გერასიმენკო და ა. სკოტარენკო რუსთავში დაოსტატდნენ, რუსთავიდან მოხვდნენ რესპუბლიკის ნაკრებში და ახლა თუ სხვა ქალაქის სახელს იცავენ, განა სწორი იქნება, რომ ჩვენს ქალაქს დაუკარგო მათზე გაწეული ამაგი?

ან კიდევ, მოკრივე ო. ტიტვინიძე და მშვილდოსანი ლ. ასატუროვა, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ სპარტაკიადაში თბილისის სახელით და ასევე „თბილისელებად“ იწოდებიან რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში. სინამდვილეში კი რუსთაველები არიან, აქ დაამთავრეს სკოლა და რუსთავშივე დაბრუნდებიან ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ.

რუსთავში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა. მათთან კარგი და ნაყოფიერი მუშაობით ახლო მომავალში ღირსეული ბრძოლა უნდა გავუმართოთ მთავარ კონკურენტებს, მაგრამ ამისთვის საჭიროა საკუთარი ბაზების შექმნა სპორტის მთელ რიგ სახეობებში (სპორტთამაშებში, ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში). ამ მტკივნეული პრობლემის გადაჭრის შემდეგ უკვე შეიძლება დიდ სპორტზე ლაპარაკი, შესაძლებელი იქნება ფავორიტებთან ღირსეული პაექრობაც. არ ვიცი, რა პრინციპით ჩატარდება მომავალი სპარტაკიადა, მაგრამ ერთ გარემოებას მაინც უნდა გავუსვა ხაზი — სამხედრო სპორტსმენებზე მუდამ დავაა. იქნებ აჯობებს არმიის სპორტკლუბი უკონკურსოდ გამოვიდეს სპარტაკიადაში?

რუსთაველი სპორტსმენები აქედანვე უნდა ემზადონ მომავალი სპარტაკიადისთვის. ახალგაზრდობის, შრომის ქალაქში სპორტული ცხოვრებაც უფრო უნდა დუღდეს. გვჯერა, რომ ახლო მომავალში რუსთაველი სპორტსმენები მიიღებენ პირველხარისხოვან სპორტულ ბაზებს, ხოლო ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ რუსთავს უფრო დიდი ადგილი ეკავოს რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში.

**ო. ჯებაშვილი,**
რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

## საკავშიროც, რესპუბლიკურიც...

საქართველოს მძლეოსნებს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის ბოლო საწვრთნელი მეცადინეობები კისლოვოდსკში ჰქონდათ და მოსკოვში გამგზავრების წინ გამართეს ტურნირი უმაღლეს დონეზე.

ასპარეზობის მონაწილეებმა ბევრი კარგი შედეგი მოიპოვეს. მაგალითად, საქართველოს მოსწავლეთა კვარტეტმა (ა. თამოევი, დ. მელაძე, ვ. ლოვჩი, რ. ყურწუა) 4X200 მეტრზე ესტაფეტაში ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა—1.29,7. ეს ძველ მიღწევას 3,4 წამით სჯობს.

თბილისელმა ს. ხრიპკომ 100 მეტრზე თარჯრბენში საქართველოს გოგონათა რეკორდი გააუმჯობესა — 14,2. ეს შედეგი ქუთაისელ რ. ჩუბინიძის ძველ მიღწევაზე 0,2 წამით უკეთესია.

ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს: გ. შოშიაშვილმა 800 მეტრზე რბენაში — 52,3 და ზ. მალაზონიამ 10 კმ-ზე სპორტულ სიარულში —45.52,0.

ბათუმელმა გოგონამ ვ. ფედოსეენკოვამ 160 სმ სიმაღლე დაძლია და პირადი რეკორდი დაამყარა.

ჭაბუკთა გუნდის წევრმა ს. სვისტელნიკოვმა 100 მეტრი 10,7 წამში გაირბინა, ხოლო 200 მეტრზე რბენაში 22,3 წამი აჩვენა.

კარგად გამოვიდნენ ბადროს მტყორცნელებიც. სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენმა გ. გუდაშვილმა ამჯერად 58,90 მ აჩვენა. რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონმა ქალთა შორის ლ. ტულუშმა ბადრო 55,82 მეტრზე ტყორცნა. რესპუბლიკის რეკორდსმენმა ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ლ. გუკმა 165 სმ აჩვენა. ვაჟთა შორის უძლიერესი თ. მდივანი 205 სმ სიმაღლეს გადაევლო.

# ქულა იხსნა ოქროპირაშვილმა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 28 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0 (0:0).

**„ტორპედო“**: გრძელიშვილი, აბზიანიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, ფრიდმანი, ოქროპირაშვილი, ძაგანია, ჭოლაძე (მაზიაშვილი), ვეკუა, ხერხაძე, ხუციშვილი.

**„შინიკი“**: დომანტიევსკი, ვიუგინი, სანინი, ვოლკოვი (რასტიგაევი), ივანოვი, პანკოვი, ლისოვი, ნაპრეევი, სტენიშჩევი, რეინგოლდი (ნაუმოვი), კოროტკოვი.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 4:1 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

ისევე, როგორც წინა ტურში, ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ახლაც დიდი ტერიტორიული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მაშინ „ტორპედომ“ მხოლოდ 1 ქულა აიღო, ახლა კი — 2, მაგრამ ამჯერადაც კინაღამ არ დაკარგა ეს მეტად საჭირო ქულა. საქმეს უშველა ნახევარმცველ ოქროპირაშვილის ზუსტმა დარტყმამ.

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს ინიციატივა. „შინიკის“ მცველებმა შეძლეს რამდენიმე სახიფათო კომბინაციის ჩაშლა, მაგრამ მე-12 წუთზე გუნდი იღბლად გადაურჩა ხუციშვილის ძლიერ დარტყმას.

მატჩის ასეთმა დასაწყისმა სულ მალე განაპირობა იაროსლავლის გუნდის სამოქმედო ტაქტიკა: იგი საფუძვლიანად ჩაიკეტა დაცვაში და ყოველნაირად ამჟღავნებდა თავის განზრახვას ფრედ დაემთავრებინა შეხვედრა. ტორპედოელები თავიანთ იერიშებს ისე წარმართავდნენ, რომ გადამწყვეტი დარტყმის შესაძლებლობა შეექმნათ ხერხაძისთვის. ეს უკანასკნელი კი ერიდებოდა გამწვავებებს და თვითონაც ბურთის გათამაშებას არჩევდა, ამასთან მას ფხიზლად ყარაულობდნენ მოწინააღმდეგე მცველები. ამ ვითარებაში მასპინძლებს სარგებლობას მოუტანდა შორი მანძილიდან შესრულებული დარტყმები, მაგრამ ამ იარაღს მიმართავდა მხოლოდ ძაგანია და ისიც არა ზუსტად.

ერთი სიტყვით, მთელი რიგი სახიფათო მომენტების მიუხედავად ქუთაისელებმა ტაიმის მოგება ვერ შეძლეს. ასევე მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც და ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ „შინიკს“ უნდა შეესრულებინა თავისი გეგმა, მაგრამ მე-80 წუთზე ტორპედოელებმა მიიღეს საჯარიმო დარტყმის უფლება. იგი შეასრულა ოქროპირაშვილმა. ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს, დაუბრუნდა ოქროპირაშვილს და შემდეგ აღმოჩნდა ბადეში.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით ჩვენი კორ.).

• • •

სურათზე: ტორპედოელთა მატჩის მომენტი „შინიკის“ საჯარიმო მოედანზე. მეკარე ვ. დომანტიევსკი იღებს ბურთს.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

## სსრ კავშირის პირველობა

## I ლიგა

28 ივნისს „ა“ კლასის I ჯგუფში გაიმართა ტურის სხვა შეხვედრებიც: „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:2, „დაუგავა“ (რიგა) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 5:0, „პამირი“ (დუშანბე) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 2:0, „ალგა“ (ფრუნზე) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 2:0, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 3:1, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:1.

ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშის“ შეხვედრა შედგა გუშინ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 17 | 10 | 6 | 1 | 25—10 | 26 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 17 | 9 | 5 | 3 | 17—9 | 23 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 17 | 8 | 5 | 4 | 23—14 | 21 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 17 | 8 | 4 | 5 | 19—13 | 20 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 17 | 5 | 10 | 2 | 17—12 | 20 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 17 | 8 | 4 | 5 | 16—12 | 20 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 17 | 7 | 4 | 6 | 16—15 | 18 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 17 | 5 | 8 | 4 | 13—12 | 18 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 17 | 6 | 5 | 6 | 18—13 | 17 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 17 | 5 | 7 | 5 | 13—13 | 17 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 16 | 5 | 7 | 4 | 9—9 | 17 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 17 | 5 | 7 | 5 | 19—22 | 17 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 17 | 6 | 4 | 7 | 16—16 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 17 | 6 | 4 | 7 | 15—15 | 16 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 17 | 4 | 7 | 6 | 11—13 | 15 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 17 | 5 | 5 | 7 | 15—24 | 15 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 17 | 5 | 4 | 8 | 16 18 | 14 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 17 | 5 | 4 | 8 | 16—22 | 14 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 16 | 4 | 6 | 6 | 11—17 | 14 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 17 | 3 | 6 | 8 | 10—19 | 12 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 17 | 3 | 5 | 9 | 6—14 | 11 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 17 | 4 | 3 | 10 | 15—24 | 11 |

# ვიქტორი და კოლია

ჩვენთან ძალიან ბევრ ახალგაზრდას უყვარს ტანვარჯიში. ამ ორს კი, რომელთა შესახებაც დღეს მოგითხრობთ, თავის მხრივ ტანვარჯიშმაც სამაგიერო ნდობით უპასუხა.

ამ რამდენიმე ხნის წინ ისინი ჩვენი სტუმრები იყვნენ — ყოველი ჩვენგანის ბინას ეწვივნენ, თუმცა ამ დროს ესპანეთში იმყოფებოდნენ. რა არ შეუძლია ტელევიზიას! თავიდან ჩვენ ვიქტორს ვუჭერდით მხარს და მანაც გაიმარჯვა, შემდეგ ყველა კოლიამ მოხიბლა.

რატომ ვიქტორს ვუჭერდით მხარს და არა მიხეილს? — უნებურად იბადება ასეთი შეკითხვა.

მიხეილ ვორონინი ტანვარჯიშის აღიარებული დიდოსტატია და შარშან შემოდგომამდე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი იყო. მან ორჯერ, 1967 წელს ტამპერეში და 1969 წელს ვარშავაში, ევროპის პირველობა მოიგო. ბევრი სხვა დიდებული გამარჯვებაც მოუპოვებია.

ვიქტორ კლიმენკოს აქამდე არ გაუსწრია მიხეილისთვის. ვარშავაში იგი ვორონინის შემდეგ მეორე იყო, შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლი მოიპოვა, ოქრო კი ვორონინს დაუთმო. ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატში მან V ადგილი დაიკავა, ვორონინი კი ისევ უფრო წინ — IV ადგილზე აღმოჩნდა. აპრილში ვიქტორმა ლენინგრადში სსრ კავშირის თასი მოიგო, მაგრამ ამ შეჯიბრებაში ვორონინი არ გამოდიოდა.

დიომიდოვივით „მუდამ მეორე“ ხომ არ იქნება კლიმენკო? — ამ შეკითხვას ევროპის IX ჩემპიონატმა უპასუხა: არა, არ იქნება. საბჭოთა კავშირში გამოჩნდა ტანვარჯიშის კიდევ ერთი დიდოსტატი. ვორონინის ოსტატობა უაღრესად დახვეწილია. ყოველთვის რთული არ არის, მაგრამ მუდამ სუფთაზე სუფთაა. რგოლებზე ხომ საერთოდ საოცნებოა! კლიმენკო კი ულტრათანამედროვე ტანმოვარჯიშეა. კომბინაციების ნაცვლად ტრიუკები უყვარს. რა თავისუფალი ვარჯიში აქვს, ხტომა, ორძელზე და ღერძზე გამოსვლა, თუმცა მან აქა-იქ დახვეწა, რგოლებზე კი სრულყოფაც სჭირდება.

ერთხელ ვკითხე ა. აზარიანს (რგოლებზე მისი ვარჯიშის შესახებ დღემდე ლეგენდები დადის): რატომ ჩამორჩება ამ იარაღზე კლიმენკო-მეთქი.

— არა, ახლა უკეთაა საქმე, — მიპასუხა აზარიანმა. — მალე კი მთლად შესანიშნავად იქნება. რგოლებისთვის ძალაა საჭირო, ჭაბუკს კი ამ მხრივ ბევრს ვერ მოსთხოვ.

მართლაც, ვიქტორმა სპორტში დიდი გზა განვლო, ასაკით კი ჯერ სულ ახალგაზრდაა — 22 წელი ამ ცოტა ხნის წინ შეუსრულდა. თავიდან იგი ვ. ბრეჟნევთან ვარჯიშობდა. მისი მეურვეობით გახდა ქვეყნის ჩემპიონი იუნიორთა შორის. შემდეგ შვიდი წლის მანძილზე კ. კარაკაშიანცი წვრთნიდა. მასთან სწავლობდა რთულ ტექნიკურ ელემენტებს და მსოფლიო კლასის ტანმოვარჯიშე გახდა. როცა კარაკაშიანცი სამუშაოდ ფიზკულტურის ინსტიტუტში გადავიდა, ვიქტორმა ვარჯიში უფროს ძმასთან — მიხეილთან დაიწყო. ახლა კი ბევრ რამეში თვითონაა თავისი თავის მწვრთნელი. ძალიან ეხმარება მეუღლე — ოლიმპიური ჩემპიონი ლ. პეტრიკი.

ადრე ხშირად გვისაუბრია ვიქტორთან. სერიოზული კაცია, ოფიცერი, ფიზკულტურის ინსტიტუტს ამთავრებს. მადრიდიდან დაბრუნების შემდეგ არ გვილაპარაკია.

ვესაუბრე ვ. სმოლევსკის — სსრ კავშირის ნაკრების მოძღვარს.

— მადრიდში გულთბილად გვხვდებოდნენ, — მითხრა მან. — აღლუმის დროს ყველაზე დიდი ტაშით თავისიანებსა და საბჭოთა კავშირის ნაკრებს შეეგებნენ. საბჭოთა სპორტსმენებსაც თავი არ შეურცხვენიათ — სამივე პირველი ადგილი მათ დაიკავეს. ოღონდ კლიმენკო დაშავდა სერიოზულად. 12 და 13 მაისს დარბაზში ფიცარნაგი გააკეთეს და იქ ვვარჯიშობდით. შეჯიბრებები რომ დაიწყო, მოთელვისთვის რაღაც ცივი დერეფანი გამოგვიყვეს. მეორე დღეს, ეტყობა, ვიქტორი ვერ გახურდა, როგორც საჭიროა. თავისუფალი ვარჯიშის წინ მან გადაწყვიტა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა ორმაგი ყირამალა. ვხედავ, ჩვეულებისამებრ მაღლა ვერ ახტა და სახიფათოდ დაეშვა. ფეხი გადაუბრუნდა და აქილევსის მყესი გაუწყდა.

18 მაისს ვ. ბაშკიროვმა, ცნობილმა მოსკოველმა ჯადოქარმა ვიქტორს ოპერაცია გაუკეთა. „ოლიმპიადისთვის ყველაფერი რიგზე იქნება“, — თქვა ექიმმა. ნეტავი მართლა ასე იქნებოდეს. დღესდღეობით კი საჭიროა ჯერ მკურნალობა, მერე სპორტული ფორმის აღდგენა. თუმცა, ჩემპიონს გზადაგზა ბევრი სხვადასხვაგვარი გამოცდა ელის და ყველა ჩინებულად უნდა ჩააბაროს. ამიტომაცაა ჩემპიონი.

კლიმენკოს ის დაწყევლილი ორმაგი ყირამალა რომ არა, იქნებ კოლია ანდრიანოვზე ამდენი არც დაეწერათ. თუმცა, შეიძლება დაეწერათ კიდეც...

ვლადიმირელმა ჭაბუკმა გაგვაკვირვა და გაგვახარა. იგი ვიქტორზე ახალგაზრდაა — ოქტომბერში ცხრამეტისა შესრულდება.

რაც მთავარია, იგი დროულად შენიშნა ნ. ტოლკაჩოვმა, მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილი ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის დირექტორმა. იგი კოლიას მწვრთნელი გახდა და შეიძლება ითქვას, მამობასაც უწევს. პირველ ყოვლისა, ცუდ წრეს მოაშორა ბიჭი, რომელსაც ყოფილმა „ძმაკაცებმა“ უკვე მილიციაც გააცნეს. ანდრიანოვმა ათწლედი დაამთავრა. ამჟამად იგი ვლადიმირის პედინსტიტუტის ბიოქიმიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია.

ტანვარჯიშულ სარბიელზე ანდრიანოვი დიდი ხანია შენიშნეს. იგი სამჯერ გამოვიდა სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში „ოლიმპიური იმედების“ საერთაშორისო შეჯიბრებებში. შარშან პრაღაში მრავალჭიდში გაიმარჯვა. როგორც „ახალგაზრდა, პერსპექტიული“ სპორტსმენი, ლიუბლიანაში სათადარიგოდ წაიყვანეს. მსოფლიოს პირველობის დაწყების წინ მსაჯები მასზე პრაქტიკას გადიოდნენ. „მეტად მკაცრად მსაჯობდნენ, — იხსენებს კოლია, — უფრო შეცდომებს აქცევდნენ ყურადღებას“.

და მაინც, ლიუბლიანაში ანდრიანოვის წასვლას ფუჭად არ ჩაუვლია. იქ მან ბევრი რამ ნახა საინტერესო, წვრთნა კი არ ეზარება, თუ გინდა ყოველდღე დილიდან საღამომდე ივარჯიშებს. აპრილში რიგის საერთაშორისო ტურნირში კოლიამ ტაიჭზე და ხტომებში შეჯიბრება მოიგო. განსაკუთრებით კარგად გამოუვიდა ნახტომი ორმაგი მალაყით. უკან დარჩნენ ნაკაიამაც, ხონმაც და კიოსტეაც.

ისევე, როგორც ტანმოვარჯიშეთა უმრავლესობა, ანდრიანოვი მაინცდამაინც ტანადი არ არის: სიმაღლე 166 სმ, წონა 57 კგ. სამაგიეროდ, ფიცარნაგზე იგი ჩინებულად გამოიყურება. მარდი ბიჭია. არც ევროპის ჩემპიონატში დაუყრია ფარ-ხმალი.

ისე კი, კლიმენკოს ტრავმის შემდეგ სანერვიულო ბევრი იყო. კოლია იბრძოდა. კომბინაციებისთვის არაფერი გამოუკლია, პირიქით, სირთულე მოუმატა. ჯილდოდ მიიღო ხუთი მედალი: ოქროსი—ხტომებში და ტაიჭზე გამარჯვებისთვის (ისევე, როგორც რიგაში), ვერცხლისა—ტაიჭზე და რგოლებზე წარმატებისთვის, ბრინჯაოსი — თავისუფალი ვარჯიშისთვის. ეს დებიუტანტისთვის ცოტა არ არის.

ესპანელ ტანმოვარჯიშეებს იაპონელი ხიტომი წვრთნის. თავად იგი მოქმედი სპორტსმენია. ერთი სიტყვით, „მოთამაშე მწვრთნელს“ ჰგავს. ჩემპიონატის მეორე დღეს ხიტომი კოლიასთან მივიდა. მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: „მიუნხენში წარმატებას გისურვებ!“.

ჩვენც გვსურს, რომ ვიქტორი გამოჯანმრთელდეს და კვლავ დაუბრუნდეს ფორმა, ხოლო კოლია კიდევ უფრო წინ წავიდეს. ოლიმპიადისთვის მებრძოლი გუნდი გვეყოლება.

ვ. დვორცოვი.

• • •

სურათზე: ვ. კლიმენკო ტაიჭზე ვარჯიშის დროს.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ვარშავა, 28 ივნისი.** აქ დამთავრებულ საფეხბურთო სეზონში ორმაგი წარმატება იზეიმეს ქალაქ ზაბჟეს „გურნიკის“ სპორტსმენებმა, გახდნენ რა ქვეყნის ჩემპიონები. მათ შემდეგ მოიგეს ფინალური შეხვედრა პოლონეთის თასზე — დაამარცხეს სოსნოვიცის „ზაგლემბე“ — 3:1.

**პარიზი, 28 ივნისი.** საფრანგეთის ჩემპიონობა მესამედ მოიხვეჭეს „ოლიმპიკის“ (მარსელი) ფეხბურთელებმა. 31 შეხვედრიდან მათ დააგროვეს 55 ქულა. ამ გუნდის თავდამსხმელმა ი. სკობლარმა მეტოქეთა კარში 44 ბურთი გაიტანა.

**ბელგრადი, 28 ივნისი.** სპლიტის „ჰაიდუკმა“ იუგოსლავიის ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა. მან 68 შესაძლებლიდან 49 ქულა დააგროვა. შარშანდელი ჩემპიონები — „ცრვენა ზვეზდას“ (ბელგრადი) ფეხბურთელები VI ადგილს დასჯერდნენ.

**გენუა, 28 ივნისი.** 120 წუთს გაგრძელდა იტალიის თასის გათამაშების ფინალური მატჩი „ტორინოსა“ და „მილანს“ შორის. ანგარიში არ გახსნილა. არბიტრმა დანიშნა 5-5 პენალტი. „ტორინომ“ გაიტანა 5, „მილანმა“ — 3 ბურთი.

# ორი თასი — 300 წუთი — 2:1, 2:1

ასეთი ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა ინგლისისა და შოტლანდიის თასების გათამაშების ამასწინანდელი ფინალური შეხვედრები, რომლებიც ლონდონის „უემბლისა“ და გლაზგოს „ჰემპდენ პარკის“ სტადიონებზე გაიმართა. ორივე ფინალურ მატჩს 300 წუთი დასჭირდა: ლონდონისას — 120, ხოლო გლაზგოსას — 180 წუთი.

ინგლისის საფეხბურთო თასი მოიპოვა „არსენალმა“ (დაამარცხა „ლივერპული“), ხოლო შოტლანდიისა — „სელტიკმა“ (დაამარცხა „გლაზგო რეინჯერსი“). ამასთან, გამარჯვებულმა გუნდებმა მოიპოვეს ეგრეთწოდებული დუბლიც — ისინი თავიანთი ქვეყნების ჩემპიონებიც გახდნენ.

• • •

**სურათებზე** ხედავთ ფინალური მატჩების მომენტებს. ზევით — გრეჰემი (მარცხნივ) ლივერპულელთა კარში პირველი გოლის გატანის შემდეგ; ქვევით — „სელტიკის“ მცველი ბილ მაკნეილი (მარცხნივ) უვნებელყოფს ჯაკსონის გარღვევას.

# [illegible] [illegible] შედეგები

სოფია. 19-27 ივნისი. ძალოსანთა ევროპული ჩემპიონატი.

## უმჩატესი წონა

**სამჭიდი:** 1. ზ. სმალცეჟი (პოლონეთი) 332,5 კგ (110+97,5+125), 2. შ. ხოლცრაიტერი (უნგრეთი) 327,5, 3. მ. მუსტაფოვი (ბულგარეთი) 305; **აჭიმვა:** 1. ხოლცრაიტერი 112,5, 2. სმალცეჟი 110, 3. ზ. ფიატი (რუმინეთი) 97,5; **ატაცი:** 1. სმალცეჟი 97,5, 2. ხოლცრაიტერი 92,5, 3. მუსტაფოვი 92,5; **აკვრა:** 1. სმალცეჟი 125, 2. მუსტაფოვი 120, 3. ხოლცრაიტერი 120.

## მჩატე წონა

**სამჭიდი:** 1. ი. ფიოლდი (უნგრეთი) 367,5 (125+105+137,5), 2. გ. ჩეტინი (სსრ კავშირი) 355, 3. ვ. შოლტისეკი (პოლონეთი) 350; **აჭიმვა:** 1. ფიოლდი 125, 2. ჩეტინი 117,5, 3. ა. კიროვი (ბულგარეთი) 112,5; **ატაცი:** 1. ჩეტინი 105, 2. ფიოლდი 105, 3. შოლტისეკი 105; **აკვრა:** 1. ფიოლდი 137,5, 2. შოლტისეკი 135, 3. ჩეტინი 132,5.

## ქვემსუბუქი წონა

**სამჭიდი:** 1. ი. ვოინოვსკი (პოლონეთი) 397,5 (120+122,5+155), 2. დ. შანიძე (სსრ კავშირი) 395 (122,5+120+152,5), 3. ი. ბენედეკი (უნგრეთი) 390; **აჭიმვა:** 1. გ. კუჩევი (ბულგარეთი) 130, 2. ჩერნეცკი (პოლონეთი) 125, 3. შანიძე 122,5; **ატაცი:** 1. ვოინოვსკი 122,5, 2. შანიძე 120, 3. ბენედეკი 120; **აკვრა:** 1. ვოინოვსკი 155, 2. შანიძე 152,2, 3. კუჩევი 147,5.

## მსუბუქი წონა

**სამჭიდი:** 1. ვ. ბაშანოვსკი 450 (145+137,5+167,5), 2. ზ. კაჩმარეკი (პოლონეთი) 435, 3. ი. მათეი (უნგრეთი) 412,5; **აჭიმვა:** 1. ბაშანოვსკი 145, 2. მათეი 145, 3. კაჩმარეკი 140; **ატაცი:** 1. ბაშანოვსკი 137,5, 2. კაჩმარეკი 125, 3. ს. ცონჩევი (ბულგარეთი) 115; **აკვრა:** 1. კაჩმარეკი 170, 2. ბაშანოვსკი 167,5, 3. მათეი 157,5.

## ქვესაშუალო წონა

**სამჭიდი:** 1. ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) 462,5 (147,5+135+180), 2. გ. სარვაში (უნგრეთი) 460, 3. ო. ზეკელი (ჩეხოსლოვაკია) 452,5; **აჭიმვა:** 1. ი. ბაგოჩი (უნგრეთი) 147,5, 2. კურენცოვი 147,5, 3. ზეკელი 147,5; **ატაცი:** 1. ზეკელი 140, 2. სარვაში 140, 3. ტერმე (საფრანგეთი) 137,5; **აკვრა:** 1. კურენცოვი 180, 2. სარვაში 177,5, 3. ბაგოჩი 157,5.

## საშუალო წონა

**სამჭიდი:** 1. გ. ივანჩენკო (სსრ კავშირი) 500 (165+147,5+187,5), 2. დ. ხორვატი (უნგრეთი) 490, 3. დ. ტურკატო (იტალია) 465; **აჭიმვა:** 1. ივანჩენკო 165, 2. ხორვატი 162,5, 3. ტურკატო 160, **ატაცი:** 1. ივანჩენკო 147,5, 2. სლავოვი (ბულგარეთი) 142,5, 3. ხორვატი 140; **აკვრა:** 1. ივანჩენკო 187,5, 2. ხორვატი 187,5, 3. ი. აველანი (ფინეთი) 180.

## ქვემძიმე წონა

**სამჭიდი:** 1. დ. რიგერტი (სსრ კავშირი) 537,5 (172,5+160+205), 2. ბ. იუჰანსონი (შვეცია) 537,5, 3. ა. შოპოვი (ბულგარეთი) 512,5; **აჭიმვა:** 1. ჰ. ბეტენბორგი (შვეცია) 190, 2. იუჰანსონი 182,5, 3. რიგერტი 172,5; **ატაცი:** 1. რიგერტი 160, 2. იუჰანსონი 155, 3. ს. კორდიკა (პოლონეთი) 145; **აკვრა:** 1. რიგერტი 205, 2. იუჰანსონი 200, 3. შოპოვი 195.

## მძიმე წონა

**სამჭიდი:** 1. ვ. იაკუბოვსკი (სსრ კავშირი) 560 (190+160+210), 2. ა. კრაიჩევი (ბულგარეთი) 557,5, 3. კ. უტსარი (სსრ კავშირი) 545; **აჭიმვა:** 1. კრაიჩევი 192,5, 2. იაკუბოვსკი 190, 3. უტსარი 187,5; **ატაცი:** 1. უტსარი 162,5, 2. კაუკო კანგასნიემი (ფინეთი) 160, 3. კრაიჩევი 160; **აკვრა:** 1. იაკუბოვსკი 210, 2. კრაიჩევი 205, 3. ჰ. ლოში (გდრ) 200.

## ზემძიმე წონა

**სამჭიდი:** 1. ვ. ალექსეევი 630 (125+172,5+232,5), 2. ს. ბატიშჩევი (სსრ კავშირი) 607,5, 3. რ. მანგი (გფრ) 602,5; **აჭიმვა:** 1. ალექსეევი 225, 2. ბატიშჩევი 217,5, 3. მანგი 212,5; **ატაცი:** 1. მანგი 175, 2. ალექსეევი 172,5, 3. ბატიშჩევი 170; **აკვრა:** 1. ალექსეევი 232,5, 2. ბატიშჩევი 220, 3. მანგი 215.

• • •

**სურათზე:** ვ. იაკუბოვსკი ასპარეზობისას.

# პელეს გამოსათხოვარი მატჩი

შვეციის, ჩილის, ინგლისისა და მექსიკის, გ. ი. ამ ქვეყნების წარმომადგენელთა პარადით, სადაც მიმდინარეობდა ბოლო საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატების მატჩები, გაიხსნება 13 ივლისს რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ გიგანტურ სტადიონზე საზეიმო ცერემონიალი „ფეხბურთის მეფის“ — პელეს საპატივცემლოდ, რომელმაც უკანასკნელად უნდა ჩაიცვას თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფორმა იუგოსლავიის გუნდთან შეხვედრაში.

მატჩის წინ პელე სამახსოვრო მედალს მიიღებს სახელმწიფოს მეთაურისგან. თამაშის დამთავრების შემდეგ კი კვლავ გაგრძელდება ცერემონიალი, ეროვნული ცეკვების სკოლების, ორკესტრების გამოსვლები და ა. შ.

პელე ახლა სერიოზულად ფიქრობს კინომსახიობის კარიერაზე. 1963 წელს იგი გადაიღეს დოკუმენტურ ფილმ „მეფე პელეში“, შემდეგ კი მთავარი როლი შეასრულა მრავალსერიიან სატელევიზიო პოლიციურ დეტექტივში. ახლა მას მთავარი როლი შესთავაზეს მხატვრულ ფილმში „მარში“, რომელიც ასახავს ბრაზილიაში მონობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ფეხბურთის გარდა პელე ცნობილი იყო, როგორც კომპოზიტორი და სიმღერების შემსრულებელი, აგრეთვე, ერთ-ერთი მსხვილი ბანკის ადმინისტრატიული მრჩეველი. თამაშს იგი თავს არ ანებებს და ორიოდე წელი კიდევ გამოვა თავის კლუბ „სანტოსში“.

ფილმ „მარშის“ გადაღება უკვე დაიწყო. პელე იქ გამოდის თავისი სრული სახელით — ედსონ არანტეს დო ნასიმენტო და თამაშობს პოპულარულ ბრაზილიელ კინომსახიობ პაულო გოულარტთან ერთად.

▲ **სტოკჰოლმი.** შვედები ენერგიულად ემზადებიან ევროპის მძლეოსანთა პირველობისთვის, რომელიც 10 აგვისტოს ჰელსინკში დაიწყება. შესარჩევ შეჯიბრებაში ვ. ნიუბერგმა სამხტომში 15,94 მეტრი აჩვენა, რაც ქვეყნის ახალი რეკორდია.

▲ **ჟენევა.** შვეიცარიაში გაიმართა მრავალდღიანი ღია პირველობა ველორბოლაში, რომელიც ბელგიელმა ჟ. ბენტანმა მოიგო.

▲ **ჰააგა.** „ჰოლანდიის დიდი პრიზი“ 1-ლი ფორმულის მანქანებით რბოლაში დაისაკუთრა ბელგიელმა ავტომრბოლელმა ჟ. იქსმა, რომელიც „ფერარით“ გამოდიოდა.

▲ **სოფია.** აქ გაიმართა ბულგარეთისა და პოლონეთის მძლეოსანთა მატჩი, რომელიც პოლონელებმა მოიგეს — 239:128. თ. მანოლოვამ უროს ტყორცნაში ბულგარეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 67,84.

▲ **ტოკიო.** იაპონელ მძლეოსანთა ჩემპიონატში, რომელიც მიუნხენის ოლიმპიადისთვის მზადების ნიშნით გაიმართა, ვ. ტომიზავამ 220 სმ სიმაღლე დაძლია და 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა ეროვნული რეკორდი. იაპონიის რეკორდები დაამყარეს, აგრეთვე, ტ. კოიამამ 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — 8.32,4, კ. მიცუნომ 1500 მეტრზე ასპარეზობაში — 3.42,7.

▲ **პარიზი.** სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა გადაწყვიტა „მფრინავ მოთხილამურეთა“ მსოფლიო პირველობა 1972 წელს პლანიცაში (იუგოსლავია) ჩაატაროს. ფალუნა (შვეცია) უმასპინძლებს 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ჩრდილოეთის დისციპლინებში, ხოლო ალპიურ სახეობებში შეჯიბრება სანკტ-მორიცში (შვეიცარია) გაიმართება.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 07679